

0. 250

Կիրոս

„ Երկրի և Մեծի Կենտրոն ”

1914

Handwritten notes at top left, possibly including a date or reference number.

Handwritten text in red ink, possibly a name or title.

Handwritten text in purple ink, possibly a name or title.

Handwritten text in black ink at the top right, possibly a date or reference number.

Handwritten text in black ink, possibly a name or title.

Handwritten text in red ink, possibly a name or title.

Vertical handwritten notes on the left side of the page.

Handwritten text in black ink, possibly a name or title.

Large handwritten text in black ink, possibly a name or title.

Vertical handwritten notes on the right side of the page.

(საფრანგო)

1914



კვირა 9 მარტი

№ 1.—1914 წ.

ფანი 10 კაპ.

მ. შიხაძე
რედაქტორი
1914.



მარისბინე შახვაშიძე
ლექტორი-ქალი



მარ. რუხაძე
15 წ. სამწერლო მოღვაწეობის შესრულების გამო

მუსიკა—მხატვრობა—ქანდაკება





№ 1

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (ს. სორაბანიძის სტამბაში). მისამართი:

თიფლისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“
 იოს. იმედაშვილი.

ხელ-მოწერული წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საპროფესიონალო შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შეუდღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 1

კვირა, 9 მარტი

1914 წ.

9 მარტი 1914 წ.

ჩვენი მიზანი და დღეიდან კვლავ ვიწყებთ მისწრაფებას. სულიერ ურთიერთობას ჩვენს მკითხველთან.

ჩვენი მკითხველი გვიცნობს ჩვენ და იცნობს ჩვენს მიმართულებასაც, თუ კი შეიძლება მიმართულება ეწოდოს ჩვენს განვლილს მუშაობას.

ამიტომ აქ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია გრძელვადიანულ სამუშაო გეგმის აღნუსხვა, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი იქნება ჩვენის თეატრის, მწერლობისა და ხელოვნების ერთგული და მტკიცე საშინაო...

უკანასკნელი ათეული წლების დასურჯგუფურმა განკერძოებამ დაქსაქსა ჩვენი საზოგადოებრივი ძალნი და ერთი მეორისგან იმდენად გათიშა, რომ იგინი თითქოს მხოლოდ ურთიერთის დამოხება-განადგურებასდა ცდილობენ, თითქოს მათს ცნებაში სრულიად ამოშრეტილიყოს საკაცობრიო ცხოვრების ერთი საზოგადო მიზანი—გაადამიანება, კაცთა სულიერ-ზნეობრივად ამაღლება, საერთაშორისო სიყვარულის განმტკიცება, ადამიანის ადამიანად აღიარება-ცნობა...

ადამიანთა სულიერ-ზნეობრივად ამაღლებელი საშუალებანი—ხელოვნების ტაძარი—თეატრი, ხელოვნური მწერლობა, ფილოსოფია, მეცნიერება—ჩვენის კალმოსანთა უმეტესობისათვის თითქოს სრულიად აღარ არსებობდეს...

ჩვენი მტკიცე რწმენაა სწორედ ამ მხრივ ვეშინაბოროთ ჩვენის ქვეყნის დაწინაურების საქმეს...

ჩვენი ქვეყნის სულიერ-ზნეობრივად და-

წინაურების საქმეში, უმთავრესი მნიშვნელობა ჩვენს სამშობლო თეატრს აქვს.

მეტია ვილაპარაკოთ მის მაღალ-განმანათლებელ დანიშნულებაზე, — ეს ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა ადამიანმა უწყის, ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართულმა თეატრმა, შედარებით, მოკლე დროში უფრო მეტი სარგებლობა მოუტანა ქართველი ხალხის გათვითცნობიერება-გაერთიანების საქმეს, ვიდრე მრავალ საუკ. სისხლის მღვრელმა ომ-ბრძოლამ...

თეატრიც იბრძვის—და უფრო ბასრი მახვილითაც, — მაგრამ მისი ბრძოლა მშვიდობიანი, ღრმა კვლის გამეღები, სულიერად შემცვლელი, კაცთა ამაღლების უტყუარი გზა და ცხოვრების განახლების სურვილთა შთანერგავი...

იყო დრო, როდესაც ჩვენში თეატრი პამულეთა ჩხირკედლობად მიაჩნდათ, ხოლო სცენის მოღვაწენი—პამულეზად, დაკარგულ ხალხად...

ასეთი შეხედულება უკვე წარსულს ჩაბარდა...

ეს იყო პირველი ხანა ჩვენის თეატრის ცხოვრებისას...

მეორე ხანა იყო, როდესაც ქართულ თეატრს მხოლოდ წარჩინებულ-ხარისხოვანთა ჯიბე ასაზრდოებდა დიდის გაჭირვებით, ხალხი-კი მოწყვეტილი იყო თეატრს, და ეს მაშალალი საზოგადოებაც თუ მივიღოდა თეატრში— ისიც რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევებს გამო: რომელიმე დამსახურებულ მსახიობის ბენეფის-იუბილეზე (ისიც მოსაწყვეტი ბარათებით), ვინმე მაღალ-ხარისხოვან პირის დასწრების დროს ან—იშვითად—თავის ცრუ მამული-შვილურ გრძნობის დასაკმაყოფილებლად.

სამინელი იყო ეს დრო: ქართულ თეატრ-

5842

სა და ქართველ საზოგადოებას თითქოს ურთიერთისა არა გავგებობა—რა... და მართალი უნდა ითქვას ხშირად არცთუ ჩვენი თეატრი იღვა თავის ღირსეულ სიმაღლეზე... აქ მხოლოდ „გმირები“, „ღვინაბოძინი“ ბატონობდენ, შეთანხმებულობა, ერთსულაოვნობა სანთლით საქმეარი იყო... ეს დროც განქარა...

ქართულმა თეატრმა უკვე მიაგნო თვის ქეშმარიტს ასპარეზიონს — მღაბიო ხალხის გულს, დემოკრატისა, ნამდვილ ქართველ საზოგადოებას და მით მკვიდრი ნიადაგიც მოიპოვა, ხოლო ქართული სასცენო ხელოვნება გამოერკვია ბურუსიდან და ახალს გზას დაადგადღეს საქართველოს დაბა - ქალაქებში დამოუკიდებელნი წრენი მუშაობენ და შორს აღარაა ის დრო, როდესაც სოფლებშიც-კი აღორძინდება სასცენო საქმე... და ჩვენი ხალხის კულტურული ამაღლება—გათვითცნობიერებაც აქედან დაიწყება...

ქართულ სასცენო საქმის ვაფართოებას-კი ესაქირაება ერთი გამაერთიანებელი ძაფი, ერთი რედა-აზრით მოქმედება...

ჩვენი ჟურნალი მიეღის თვისის ძალღონით ემსახურება ამ საქმეს... მაგრამ მასთან სათანადო ყურადღებას მიაქცევს ხელოვნებისა, მწერლობისა და მეცნიერების ყოველ დარგს...

ჩვენს სამშობლო სცენასა და მწიგნობრობასთან ერთად შესაფერ აღვიღოს დაუთმობს ჩვენის მეზობლთა—სომეხთა, თათართა, ოსთა, აგრედვე რუსთა და უცხოელთა სამწიგნობრო თუ სასცენო ცხოვრების შესახებ ცნობებს...

ხელოვნება, მწერლობა, თეატრი, მეცნიერება ყველასთვის ერთნაირად ძვირფასად მიგვანია, ვიწრო პარტიულობის გარეშე მდგომარედ, და ამიტომაც გვეკონია. ყველა დაგვებმარება ჩვენის ხალხის საკეთილდღეო სამსახურის პირნათლად შესრულებაში...

დაე, ამ სფეროში მაინც ვიგრძნოთ თავი სრულ ქმნილება და ყოველგვარ ჟანგ-ხავსიდან განწმენდილად...

მძიმეა ჩვენი საველი გზა, მაგრამ რწმენა წმინდის საქმისა და ჩვენის მკითხველ-თანამშრომელთა თანაგრძნობა გვაბედინებს ამ საქმეს ჩვეულებრივის ხალისით შევუდგეთ...

სალამი შენდა ჩემო სამშობლო სცენავ და ძვირფასო მკითხველო!...

* * *

მე სამკვიდრებელს აქ არ დავეძებ, სხვაგვარი მივის ამისთვის გზები: მიმირბის სული, სული ლტოლოვლი და მეც მივდივარ... აქ არა ვრჩები!

არსება ჩემი მონად ვინ აღთქვა, დასაბამიდან აღსასრულისად? დაე, მონობამ მოკაპკლას ხორცნი, ხოლო არ ძალუქს მოკვლად სულისად!

ვიყავით მარხვად, მე და შენ სულო, სულო აღდგომა მარხვას მიებას!— ვიდრე სიკოცხლე დაგეტოვებს ჩენა, ნუ ჩვენ დაეტოვებთ ლტოლვა-ძიებას!

ბაბილინა

კატარა წერილი

მოკეციით მაღალი მთის მწვერვალს თავზე, დაიწყო ადამიანთა ცხოვრება, შურით, მტობრით, გესლით სავსე; თვლი ვადაავლეთ ქვეყანასა და ბუნებას.

თუ გრძნობა მწვენიერებისა სრულებით არ წაუშლია თქვენში ყოველდღიურ შხამს, პოეტთან ერთად წაიოძახებთ:

ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!

ქვეყანა დილია და ლამაზი, ბუნება მრავალფეროვანი ზღ ტურფა, სამყარო დაუსრულებელი და დიადი.

ჩვენი ცხოვრება ხანმოკლეა, ვითა სიზმარი; მიუხედავად ამისა ის მწვენიერია; ჩვენი სიკოცხლე ელევა, ელევისავით მალე ჰქრება; მაგრამ ის ელევისავით ლამაზია.

თანამედროვე ადამიანი დასწეულდა, მოიწამლა; სიკოცხლე მას საშინელ მაჯლაჯუნად გადაქცევი; სილამაზე ცხოვრებისა მას სრულებით დაუმახიჯებია. დადის ის დაღვრემილი; კი არ სუნთქავს, ხენწვის; აღარ იღიმება, — პირქეშია.

ბერძენს, რომაელებს, ფრანგებს (რევოლუციის ხანაში) იმდენად უყვარდათ სიკოცხლე, რომ სიკედლის დროსაც კი იღიმებოდენ და ოხუნჯობდენ.

ჩვენ კი სიციოცხლეშიც ვეღარ ვიღიმებთ და ვეღარ ვოხუნჯობთ; ჩვენი სული და გული მოშამულია და ყველგან შხამს ვაგრცვლებთ. სიბრაზემ, სიძულვილმა და ბოროტებამ სრულებით განდევნა ჩვენი გულიდან სიყვარული; სხვისი შეურაცხყოფა, სხვისი დამცირება, გალანძღვა — აი ჩვენი ხელობა.

ცხოვრება ბრძოლაა. სპარტანელები ბრძოლის წინ გარეგნობას ილაშაზებდნენ, თმებს ივარცხნიდნენ კოხტად.

ჩვენ-კი ლანძღვა და გინება ბრძოლად გამოვიტანეთ და ჩვენი სიგლახე გმირობა გვეგონია.

ასეუ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას, — ის ჰფანტავს სვედისბურუსს, ადამიანის დამწუხრებულს გულს მაღამოდ ევლინება და სულს ახალისებს; უიმედობასა და სასოწარკვეთილებას სპობს და იმედს, აღფრთოვანებას, გატაცებას, სიყვარულს, რწმენას გზას უკაფავს.

ერთი-მეორის ლანძღვა-გინების პუბლიცისტიკამ ჩვენში ხელოვნება შთანთქა, ხალხს კი ხელოვნება, მშვენიერება მოსწყურდა.

არა გჯერათ?

აბა გაითვალისწინეთ „სინათლის“ წარმოდგენები.

მოხდა ის რაც არასოდეს არ მომხდარა ქართულ სცენაზე: ერთი-და-იგივე პიესა თოთხმეტჯერ დადგეს და კიდევ ამდენჯერ რომ დადგან, მინც ვატენილი იქნება ხალხით.

რითი აიხსნება ასეთი დაუჯერებელი ამბავი? მარტო პიესის ღირსებით?

სრულიადაც არა.

ხალხს მოსწყურდა ეროვნულ ფორმებში ჩამოსხმული მშვენიერება და ის ხარბად დაეწაფა „სინათლეს“.

ამ წყურვილს დამკაყოფილება უნდა. დღევანდელი ჩვენი ჯურნალ-გაზეთობა-კი მას ვერ აკმაყოფილებს, რადგანაც მათი უმთავრესი მიზანია პარტიული ბრძოლა.

ამ ბრძოლასაც თვისი გასამართლებელი საბუთი აქვს: ის აუცილებელია, საჭიროა, ხოლო არა ისეთის მახინჯის სახით, როგორსაც დღეს ატარებს.

მაგრამ მარტო, ეს არა კმარა; საჭიროა, ხელოვნებას თვისი საპატიო ალაგი ჰქონდეს

დათმობილი, და ეს კი დღეს არ არსებობს.

როდესაც უწმაწურ — ქუჩური პუბლიცისტიკის გვერდით ჰკითხულობთ ქუჩიშვილის, გრიშაშვილის, აბაშვილის საუცხოვო პოეზიას, აზრით, მუსიკით, ტემპერამენტითი საესესს, — გზახია იჩრადილება, — ის ჯეროვან შთაბეჭდილებას ვეღარ იწვევს.

პუბლიცისტიკა საჭიროა, ფრიალ საჭირო. არა ნაკლებ საჭიროა ხელოვნებაც.

ამისათვის კი აუცილებელია ორგანო, რომელიც მარტო ხელოვნებას ემსახურებოდეს.

თუ „თეატრი და ცხოვრება“ ამ გზას დაადგება, მე პირველი ვუსურვებ მას გამარჯვებასა და დღევრძელობას.

ივ. გომართელი



მ რ ო მ ნ შ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

თეატრი სახალხო ტრიბუნაა, შკოლაა, სასწავლებელია.

თეატრი ცხოვრების სარკეა — და ვინ არ იცის, რომ სარკე გამასწორებელი იარაღია?

თეატრის დიდი დანიშნულებაა გაავრცელოს და დაამკვიდროს ხალხში ახალი აზრი, იდეა, ახალი ქეშმარიტება.

თეატრის დანიშნულებაა იყოს წყაროდ კოდნისა, შეიტანოს ხალხში შეგნება და განათლება, ებრძოდოს უფიცობასა და სინენლესს, ჰფანტოს გარყვნილების ბურუსი, ამაღლოს და დარაჯად უდგეს ზნეობას, სთესოს სიკეთე, ჰნერგოს სიყვარული.

თეატრი ხალხის სულიერი კულტურის, განვითარების ერთერთი ძლიერი ფაქტორთაგანია.

ეს შეხედულება თეატრის დანიშნულებაზე მუდამ იყო და არის მისი საუკეთესო მოღვაწეთათვის სახელმძღვანელო პრინციპად.

და, აი, როცა ასეთი მშვენიერი, სერიოზული და ფრიალ საჭირო დაწესებულება — თეატრი განიკდის კრიზისს, მის ცხოვრება უფერულია და უშინაარსო, მისი როლი-კი უმნიშვნელო და არა — სერიოზული და ზშირად სამარცხვინოც, რომლისაგანაც წითლ-

დება თეატრის სეროიზული მოღვაწე, — მეტი არ იქნება მასზე ბასი.

* * *

თეატრი საზოგადოების ოცნების მეგობარია და, თუ რამდენად მკიდროა ეს მეგობრობა, თუ რამდენად შესებაშემა საზოგადოების ოცნებას, მის ზნეობას თეატრის შინაარსი — ამაზე დამოკიდებული მისი არა თუ აღორძინების, არსებობის ბედ-იღბალიც-კი.

ამიტომაც თეატრის მნიშვნელობა, მისი როლი, სხვადასხვა საზოგადოებაში, სხვადასხვა დროს და პირობებში — სხვადასხვა გვაჩვენებს.

საფრანგეთში, — პარიზში, მავალითად, — თეატრი მისი მცხოვრებლების ვახრწილი ოცნების მონაა და ამიტომაც პარიზის თეატრების დიდ უმრავლესობას უფრო შანტანის ხსიათი აქვს, ვიდრე სეროიზული, იდეური დაწესებულების.

იქაურ საზოგადოების ჟინიანი ხსიათი და გარყვნილი ოცნება, რა თქმა უნდა, უშინაარსოა, ტლანქი და თხოულობს სენსაციურ, ნერვების გამაღიზიანებელ სანახაობას (ჰეჩ.ჰეჩე) და, ცხადია, თუ თეატრს, რომელიც ეჭვემდებარება საზოგადოებრივ ფსიხოლოგიას, არ უნდა მასთან კავშირი გასწყვიტოს — უნდა აკმაყოფილოს ეს მოთხოვნები და შეინარჩუნოს მისი მასზარებლის სიმბატია.

ეს არის, ჩვენის აზრით, იმის იზიზი, რომ თუმცა ფრანგული თეატრი მდიდარია ყოველის მხრივ, მოძრაობს და მხურვალედ შრომობს, მაინც ვერ აუღის საზოგადოების ჟინს და თითქმის ყოველწლივ იმ საზოგადოების სულისკვეთების გამომატეელი პრესა სტებს ვანგაშს იმაზე, რომ თეატრი კრიზისს განიცდის.

ასევე ითქმის გერმანელთა თეატრზედაც. იქ საზოგადოება უფრო ზნეობრივად შეზღუდული, უფრო ოცნებით შემოქმედებას მოკლებულია, უფრო ზომიერი — და ამიტომ თეატრის მოძრაობა, მისი განვითარების ტემპი სრულიად შეთანხმებულია ბიურგერთა ფსიხოლოგიასთან.

გერმანელთა თეატრის უფრო დინჯი, დამჯდარი, ღრმა-ფილოსოფიური ხასიათი აქვს, ის უფრო გონების ნაყოფია, ვიდრე გრძობის და ამიტომაც უფრო მაღლა სდგას ფრანგულ თეატრზე იდეურად, შინაარსით...

ასევე ითქმის ინგლისის თეატრზე და ყველა იმ თავისუფალი ქვეყნების თეატრებზე, სადა თეატრს, როგორც დიდი ხელოვნების სალონის ერთ პაწა ნაწილს, უჭირავს თავისი ადგილი და საზოგადოების სულისკვეთების შესაფერად, კეთილსინდისიერად ეწევა მორიგ კულტურულ შრომას: — ეთამაშება, აღვივებს და სათანადო სიამოვნებას ჰგვრის მის მოტრფილეთა ოცნებას.

იქ, სადაც საზოგადოების სხვადასხვა სულიერ მოძრაობას აქვს საშუალება იზოვოს გამოსავალი გზა; იქ, სადაც საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამომატეელი საშუალებანი ბევრია, იქ სადაც არ არის შეზღუდული აზრი, შკოლა, ენა, პრესა და თავისუფლება, — იქ, ვიმეორებ, თეატრს აქვს წმინდა ესთეტიური დანიშნულება და რამდენადაც ფრთაშესხმულია საზოგადოების ოცნება, რამდენად მაღალია მისი ზნეობრივი სიქაქი, რამდენად ვანგართარებული და მთლიანია მისი გემოვნება და ფანტაზია, — იმდენად ამაზე დამყარებული თეატრის შინაარსიანობა, მისი ესთეტიური სისპეტაკე და სანახაობის სიმშვენიერე.

* * *

მაგრამ არის ქვეყნები, სადაც სულის თქმა შეხუთულია, აზრი ცხრაკლიტულში ზის და თავისუფლებას ჰკორტის ყორანი...

ენა მუნჯია იქ, მოქალაქე ტყვესა ჰგავს, ფრთაშესხმულია ბოროტება, და პიროვნება — აღმიანი უარყოფილი...

ლოთობა არის გამოცხადებული გასართობად, მონობა და მორჩილება მოვალეობად, უვიცობასა და სიბნელეს გუნდრუკს უკმევს საკუთხეველი, მოკლულია პატივისცემა და სიყვარული, ძაძით მოსილია ესთეტიური აღმფრენა...

არიან ქვეყნად ერები, რომელთა შვილებს დედის ძუძუს მაგიერ არა-მითხე გამოხდლები შხამით კვებავენ, და როცა ბავშვი სტირის, სახესაც მანჰავს სიმწარით — ძიძვნი ცემით ამშვიდებენ მათ...

არიან ქვეყნად ერები, რომელთა დღიური განცდა ცრემლთა ნაკადად არის ქცეული და სამარისებური სიჩუმით მიმდინარეობს, და როგორც მუნჯი ენის მაგიერ მიმიკით ლაპარაკობს, თვლებში აკოცონებს სედას და ნა-

ღვეს,—ისე ყველა იმ ერთგვანიც სდუმს, სტირის, შავად, ხან წითლად ოცნებობს, და ელის—ელის აღდგომას...

აი, ასეთი ერების ცხოვრებაში თეატრს აქვს სხვა დანიშნულება. იქ, სადაც აღამიანის სულიერი მოძრაობის გამომხატველი ყველა გზები დახშულია, უარყოფილია მოქალაქე და დაღუპებულია ენა,—იქ უნდა აღაპარაკდეს, ამქვევრმეტყველდეს ხელოვნება, იქ, ხელოვნება საერთოდ და თეატრი კერძოდ უნდა გადაიქცეს ბასრ მახვილად, იქ ხელოვნებამ და თეატრმა უნდა ითამაშოს მოქალაქის როლი: უნდა ააფრიალოს დროშა, რომელზედაც აღბეჭდილი აქნებოდა ერის ჩუმიდ გამეფებული სულისკვეთება...

აქი, სადაც დაჩაგრულ ერთა ცხოვრებაში, ხელოვნება და თეატრი ამ გზას არ აღვია—იქ ხელოვნება და თეატრიც მკვდარია, განყენებული, უმნიშვნელო...

თ. იანელი



ლი ა კ ა რ ი

გულის,
გულის!

მასხოცს—ჩემს მითოლოგიაში *) ხატებაა ქალის ღრუბლით გამოცხადებული.

ბრგვა და მოყვანილი, მაგრამ ხელთ-დაუქერავია და ჰაეროვანი.

მისი თვალები ხან მრისხანა და ხან... ნეტარების ზღვა.

მისი ნაკეთიერება ხან ვარდისფერ, მთრთოლარე, ცოცხალ სხეულს ისხამს, ხან მკრთალებდა ცის ეთერში.

ზოგჯერ ისე ახლოს ვარ მასთან, მისი საარაკო თმის სურნელება მათრობს და მამრუებს.

ზოგჯერ კი სრულიად ვშორდები და მაშინ არის, რომ ჩემს სულში ბნელა.

მაშინ არის, არის ვიწყებ მის ძებნას და ამ ძებნაში ზოგჯერ აღქაჯს წავაწყდები, ზოგჯერ სირინოზსაც.

*) როგორც ვერს, ისე პირთენებასაც თავის მითოლოგია აქვს: ბავშობისას ნაგრძობი, მის სხონაში ბუნდოვნად ჩაახულო...

ი ს ტ ო რ ი ა კ ი უმღეფ იწყება... და სხვ. ავტ.

მათ ჰგონიათ—შეხვედრილებს, მეც მგონია, რომ ჩვენ ერთი მეორისანი ვართ, მაგრამ ამ დროს საღმე ცისიერზე განათლება და დავინახავ.

ჩემს მრისხანე ღმერთს, ჩემს შორეულ პატარაძალს და მივსდევ კვლავ მას, რადგან თურმე მისთვის ვცოცხლებ. მისთვის მოკვდები.

შალვა დადიანი



ტარას შუკუინკო

(მისი ცხოვრება)

ამ წლის 25 თებერვალს შესრულდა ასა წელი შექუინკოს დაბადებდან. უკრანელები დიდის ზომით აზიარებდენ ამ დღის დღესასწაულს, მაგრამ მათს სურვილს და მისწრაფებას წინ გადაეღობენ:

რით იუა მგოსანი შექუინკო ეგეთი დიდებულო, რომ მთელი უკრანელები ამდროსნი მოწიებით იხსენიებენ მს სსხელს?

სანამ ამ კათხვასზე მიუგებდეთ, მოკლედ გავცინოთ მისი მწარე ცხოვრება და მასინ უფრო ხათლად წარმოვიდგინოთ მისი მნიშვნელობასაც.

ტარას შექუინკო დაბადა 1814 წ. 25 თებერვალს, ს. მორინცაში, კიევის გუბერნიაში; მამა მისი იუა ვსა ბატონ ენგელვარდტისა; ტარასი ათა წლისა იქნებოდა, დედა რომ მოუკვდა; მამამ შეორე

ცოლი მოიყვანა, რომელიც შეტად ავი ღამიანი გამოდგა; სპარალო ზატარა ტარას სიცილიტეს უმწარბადა უდიერი მოპურობით; თორმეტ წლისას მოუგვდა მამა, თბოლი ბეშეა დარჩა თავის და ღუთის ანბარა. დიდი წყალებს და ვაიავგლასი გაღახდა შეგნენთვის მათგან, ვისაც კი მან შეაფარა თავი მითომ სსწაფლებულად. იგი იყო მენანირდანი, შეგირდით მსტვართან, მისახურად ბატონთან და სხვა. უგულვან უდიერი მოპურობასა, სიმშობს და სიცივის შეტს ვერას ზოულობდა.

თავდაპირველი სწავლა დაიწყო თავიანთ სოფლის მუღაიონისთან, რომელიც იმდენს არ ასწავლიდა, რამდენსაც სტანჯავდა ბაჟის საყოთარის საქმის კეთებით. მაგრამ ნიჭმა თავისი ჰქმინა, -- პირველშივე მას მსტვართმა უფრო იზადგავდა და აინა უშევრად შეგნენთვის. როცა მისმა ბატონმა შეამჩნია სამსტვრო ნიჭი, გატყავნა ჯერ ვარშავს, მერე კი ზეტერბურგს ამ ხელობის შესასწავლად ბატონის სამსახურისათვის.

ზეტერბურგში ჩასულ შეგნენის ჯერ ძალიან გაუჭირდა უსახრობის გამო, მაგრამ შემთხვევით იგი გააცნეს მაშინდელს კანონიელს მსტვარს ბრიულთან და მგოსანს უგოვასკის, რომელთან გადაწვევით, ეს ნიჭიერი ჭაბუკი ემობისაგან გაერთავისუფლებიანთ. მართლაც ბურს ეტადენ და ემობასაგან კანონისუფლებს 1838 წ. შეგნენმა მაშინვე შევიდა სამსტვრო აკადემიაში და მსტვრობის მიჰყო ხელი: მაგრამ მასთანვე მიწერლობასაც მისდევდა. 1840 წელს გამოუშვა პირველი ლექსითა კრებული „კობზარი“, შემდეგ წელს კი თვისი დიდი ზოგმა „კაილამაკი“ ორი წლის შემდეგ მიიღო მსტვრის წოდება და კემეზავრას სამშობლოსკენ, სვად იგი დასასვლად და მოღვაწეობდა, მაგრამ დიდს ხანს არ ასიარენს იგი თავისუფალს ჰაერზე 1847 წ. დასბრალეს უგრაინულ მოძრაობაში მონაწილეობა და გააწვეს უგრაინკად ორენბურგის მსტვრეს; მიზეკი იყო ის ხელმწიფები, რომლებიც მას უზოვეს კამხრევის დროს და სვად იგი მკაცრად ეხეზოდა მთავრობას. უსზარმაში ვატარა სრული ათი წელი და ამ ხნის განმავლობაში მას ნებას არ აძლევდენ არც ხატვისას, არც წერისას. თუ მოახერხებდა რისმე დაწერას, იმახად ჩექმში თვისი გულქვეში ინახავდა დრომდე. 1857 წ. იგი, როგორც იქნა, კანონისუფლებს უგრაინკაციობისაგან.

დაბრუნდა ზეტერბურგს და ხელი მიჰყო ხელახლა თავის საუფარელს სვანეს, მსტვრობას და

მიწერლობას. სელმეორედ მკამისცა თავისი ლექსითა კრებული „კობზარი“, რომელიც მანამდის აკრძალული იყო და ბეერი მისი შესანიშნავი ზატრიოტული ლექსი არ იყო ზიე მითავსებულა, რომლებიც მხოლოდ სახლადგარედ იბეჭდებოდა.

მაგრამ ხანგრძლივი ტანჯვისაგან ჯანტეტიხილს შეგნენთვის შრომა ბეერი აღარ შეეძლო: იგი შეუბრალელებლმა სიკვდილმა მალე იმსხვერპლა. 1861 წ. 26 თებერვალს გადაიცილა წყალმსივისაგან. დროებით დასსიფდავეს ჯერ ზეტერბურგში, მაგრამ იმავე წელს მისიში გადასვენეს და დასსიფდავეს კიევის გუბერ. განვეის ახლო მადლობე, მდ. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. მას შემდეგ იმ გორაკს ეწოდება „შეგნენვის გორა“.

აი, ეს უბრლო გლხის შვილი შეგნენკო შეიქმნა მთელ თანამედროვე და შემდეგ თაბათათვის სთავყენებულ სვანად იმ მიზეზით, რომ მან ახმდელა, გაამშენიერა თავისი ხალხის ლიტერატურა, ახვევა მრავალფეროვან თიეკულით და აიყვანა იგი იმ ხარისხზე, რომ მთელი განათლებული ევროპაცი სიამოვნებით კითხულობს მის ზოგზიანს. -- მან ვაძნით განათლებულს საზოგადოებას ის, თუ რას გძმბებს და რას ესწრაფება უგრაინის ხალხი, რომლის ნამდვილ წარმომადგენლად და მის სურვილთა გამომსტვრელად შეგნენკო ითვლება. არამც თუ ევროპას ვაძნით ხალხი, კანთლებულს ნაწილს უგრაინელებისას უჩვენს გზა, რომლითაც მას უნდა ევლო სამშობლოს საკეთილდღეობა.

შეგნენკო იყო უგრაინელთა დიდებული მგოსანი მამულიშვილი მოქალაქე. ისეთივე მნიშვნელობა აქვს მის ზოგზიანს უგრაინისთვის, რაც ზუშკინს რუსული ლიტერატურისთვის. ჩვენი საზოგადოება ძლიან ნაკლებად იცნობს მის თავისებურ ზოტურ შექმედებას; სასურველი -- ვია ვადმიადრკმონის ის ჩვენც გავსწავლიდა, როგორ უნდა სამშობლოს სოვეარული და მისთვის თავისდალება.

დათიკო ივრელი

ბ. ზ. შუპინკინოს პომეხია

(მოკლე დახასიათება)

შეგნენკო უგრაინელთა საუკეთესო ერთნული მგოსანია, რომლის სახელს დღეს, თუ არა თფიცილურად, ზნებობრავად მაინც დიდის აღტაცებით იგონებენ მისი მადლიერნი თანამემამულენი.

როგორც ბურს სხვას შეორმტე-მესამოტე წლების გამოჩენილ და მოწინავე პირთ, შეგნენკო-

საც კრეო წილად გამხდარიყო უბრალო ჯარის კაცად და ათის წლის განმავლობაში, ეოფელსავე თავისუფლებას მოეძებნეს, ეწია ქაზანი მორიგის ჯარის კაცისა.

ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ ჩაკვდა და ჩაიფრებდა შექენქოს ადგნებულს გულში ბევრმა გრძობამ და ცხოველმა აზრმა იმავე თვისი მუდმივი სამივე მგოსნის ფარავით მისურულ გულში.. ათი წლის განინდებულ და მოდუნებულ ანსებობის შემდეგ თუმც მგოსნს მიეცა თავისუფლება; თუმც ის კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებას, მაგრამ, სამწუხაროდ, დაუბრუნდა კატეხილი გულით, გრძობა-გონებით განსვადიდებულთ, შემოქმედება შელახულ-შემწიფებულთ..

შექენქოს ზოეზია უმთავრესად ღირსულის სისათვისა. ის დიდად განინჩევა როგორც ხეკრასოვის თავად-სხაურული სეველიანობისაგან, ისე კოლცოვის სიმღერისა და ფიქრებისაგან, რადგანც მას არ ემჩნევა არც ხალხის ცხოვრებიდან მოწყვეტა და არც ორად გაყოფა. შექენქოს ზოეზია წარმოადგენს გადასვლად ხანს ხალხურ-შემკრებლობითი მოქმედებიდან პირად, ინდივიდუალურ შემოქმედებაზე. შინაარს თვისის ნაწარმოებთათვის ზოეტი ედგის ხალხური გადმოცემა-მოთხრობებიდან. შექენქოს ზოეზია გაცდალებით მადლა სდგას კოლცოვის ზოეზიასზე იმითაც, რომ უფრო ნათლად აქვს შეგნებულ-კათაღლისწინებული ინტერესები მოწინავე საზოგადოების...

შექენქოს ნაწარმოებნი შეიძლება დანაწილდეს ოთხ რიგად.

პირველ რიგს ეკუთვინის ბალადები და სიმღერები სენტიმენტალურის სისათვისა, მაგ. „უტო-ხეგანა“, „პრინცინა“, „რუსლავა“, „ტოზოლია“. ამ ნაწარმოებთა უმთავრეს შინაარსს შეადგენს—ბედი ახალგაზდა ქალისა, რემეღსაც ან დღემისცვალი სტანჯავს და აწვადებს, ან ახალგაზდა უახსია დელატოსს, ატუეებს.

მეორე რიგის ნაწარმოებში შექენქო ახსიათებს ხალხის ვაი-უბედურებას ბატონ-ჟობის მიძე და უტანელ უღელ ქეშს. ამ მხრევე საუკეთესოსა მისი „კატერინა“.

მესამე რიგისა ნაწარმოებთა ისტორიულის შინაარსისაა. მათში მგოსანი და მღერს ეფხასების თავისუფლების დროს; სიამოვნებით იგონებს თავისუფლების დამცველებს და დანაგვრისათვის შურისძიებლებს. ზოეტი სამარცხვინო ბოძე აკრავს ანამც თუ „ლიახებს“ და ებრავლებს, არამც თავისიან „პანებს“

და „კეტუმნებს“; ამ უკანასკნელთ გემოს მომეტებულად მისთვის, რომ ისინი პირადის სარგებლობისათვის კანდენ ხალხის მტრებად, მოაღალატებად. ასეთი შინაარსისა მისი ორი დიდი ზოეზა: „კაი-დამაჟი“ და „კამაჟა“.

მეოთხე რიგს შექენქოს ნაწერებისს შეადგენს პრობით რუსულ ენაზე დაწერილი მოთხრობები. ამ ნაწარმოებში მგოსნის ნიჭს ჩამოქვეითება ეტუება. სჩანს, რომ უღმობელმა ცხოვრების ვითარებაში აუღმვრია და დაუხანას ზოეტს ოდესდაც სთუთი და წმინდა შემოქმედება...

ივ. ვართაგვა



მსჯავრი

(ტრემიერით)

სულმა განუტევა სხეული, წიყყანა იგი ანგელოზმა და ხრიოკ-ტიტველ უღანზოში დასვა ქვაზე...

ზემოდან, ლურჯად დაღურულ სივრციდან სულს მოესმა ხმა: —, განსაჯე თვით შენი თავი!..“

და მსწრაფლ სულის თვალების წინ გაიშალა ვეებერთელა მდინარე, რომლის წყალი ცრემლთა წვეთებისაგან შესდგებოდა...

წყალი ღღერე იყო...

ანგელოზმა რქვა:—ხედავ, —აი, ცრემლემი, რომელნიც შენთვის დაღვარეს დღემიწაზე მაშინ, როდესაც შენ იქ იყავი...

სულმა მიუგო:—მართალია, მაგრამ აქ ხომ ცრემლებიც ღურევია..

სამჯერ მიმართა ანგელოზმა სულს ამგვარი კითხვით და სამჯერვე ერთი და იგივე პასუხი მიიღო...

მაგრამ, აი, უეტრად მღერე წყალი დასულთადა, შექენა სპეტეკი, როგორც ბროლი...

ახლა ანგელოზმა რქვა:—ეს ცრემლებია შენი დღეები..

სულმა თვალბზე ხელები მიიფარა და წწნარად მიუგო: მართალია... მე ვარ დამნაშავე, რომ აქ არაა ჩემი ცრემლებიც!..

ვ. გორგაძე



იოსებ კონსტანტინეს ძე ველდებანიშვილი

ავტორი „სისთლი“-ს და სხვა ზეგუბისა, ქართლელა, დაიბადა ს. ახმეტაში 1872 წ. 2 ანურას. 4—5 წ. იქნებოდა, რომ მისი მშობლები მცხეთას გადასახლდნენ, ექვსი წლისას დედამ დააწვებინა ქართული წერა-კითხვა, ამავე დროს ასწავლიდნენ რუსულს; შვილის წლის თბილ. სავაჟო I გიმნაზიის ზნისობში მიანარეს. გიმნაზიის ზირველი კლასიდან თბ. კაცებთა კორპუსში გადაიყვანეს, კორპუსის დამთავრების შემდეგ ზეტერბურგის I სამხედრო ზავლეს სსწავლებელში შევიდა, დაამთავრა სწავლა და 1892 წ. ოფიცრობაში მიიღო.

სამხედრო აღზრდა - სსწავლებელმა და სსწავლელმა სრულად დააფრეს სამშობლო ენა, უცხო ნიანდაგზე აღზრდილი თითქმის სრულად მოწყვეტილი იყო სსმშობლო კერას და მხოლოდ 1904 წ. ცოტათი დაუახლოვდა ქართულ საზოგადოებას, ქართულ საქმეებს და დროგამოშვებით გამოცემებს. 1906 წ. დუშეთის საზიანის ექსპროზიონციის თაობაზე დაზარტომრეს მეტეხის ციხეში, სდაც თითქმის ორი წელიწადი გამოძიების ქვეშ ზეჟდათ. ზანტომრობის დროს შეუდგა სამშობლო ენის შესწავლას, ქართული კლასიკის გადაიკითხა და ქართული წერტივც ისწავლა.

1908 წ. გასამართლეს, ორი წლის ციხე კაღწვეტიტეს და სსჯელის მოსახლელად დუშეთის ციხეში დაზარტომრეს, სდაც უფრო ბევრითად შეუდგა სამშობლო ენის და მწერლობის შესწავლას.

სამწერლო ასზარესზე გამოვიდა ცნრასიან წლებში, მკრამ ზირველ დაზარტომრებად მხოლოდ რუსულს ცახეთებში სწერდა („კავკასი“, „საკავკასიონი“, „კავკასიკი კრია“), ქართულ სამწერლო ას-

ზარესზე კი 1909 წ. გამოვიდა და, ორიოდ ზოლოტიკური შინაარსის წერილის შემდეგ, დაბეჭდა თავისი ზირველი მოთხრობა ტუსალების ცნოგრეობადან „აქც აღსდგა!“, 1910—11 წ. წ. დასწერა ზიესები: 1) „ოჯახი“, 2) „მისხერზბლი“, 3) „გამტრეში“, 4) „სიპართლე“ და 5) „გატიტა“. ციხიდან კათავისუფლეს 1913 წ. 28 ანვ. ამ წელს დასწერა „ქალი“. ციხიდან გამოხვლის შემდეგ მიიწვიეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემულლობის მდივნად და იმავე წელს აირჩიეს ქართ. დრ. სსხ. გამოკების წევრ-მდივნად. 1913 წ. სელახლად დაზარტომრეს მეტეხის ციხეში, სდაც დასწერა თავისი შესანიშნავი ზიეს „სინათლე“.

ამგვარად სულ სეთიოდე წელიწადია, რაც ი. გ. სსმშობლოს დეურუნდა და ამ მოკლე დროში სსამშობლო სტენას შესდგნა საუკეთესო სსწარმოებინა და ბოლო სსწში კავისს ქვეყანას სხალი მტრება სსმინა: ქართულ სდასს მხოლოდ სინათლის მოზოებით, ე. ი. დაწინაურებულ ქვეყნებში შექნილ სწავლა-განათლებლო, სერთაშობრისთ იღვათა სსმშობლო ნიანდაგზე კადმოსერგვით და ეროვნულის კავთავიციანობიერებით შეკლდა ადღვთადაწინაურება და მსოფლიო იფრესულში სსიშობა.

საჭირთა ისიც მოეხისენით, რომ ი. გ. ცნობილია ვითარცა თავკამოდეული და ბევრითი მუშა—მშრომელი ქართული თეატრის, რომლის გამკვლაც იგი მოწვეულია.



ს ი ნ ა თ ლ ე

ზღაპარი-ფერიანი

3 მოქმედ. და 7 სურათად

მ მ მ მ მ მ ნ ი პ ი რ ნ ი:

მეფე ჯიმშერი.	დავრიში—ქაჯთა მეფე
დედოფალი.	ჯადოსანი—მისი დედა.
გორჯასპი)	პირველი ეშმაკი.
ავთანდილი)	მეორე ეშმაკი.
სპასალარი.	მესამე ეშმაკი.
ვეზირი.	პირიშხე.
პირველი და მეორე დესპანები	მთავრია.
პირველი კარის კაცი.	ბროლისხე.
მეორე კარის კაცი.	ნათელი.
შვირიკი პირველი და მეორე.	წერალა.
გლეხკაცები პირვ. და მეორე.	ანკარა.

ეშმაკები, ქაჯები, გლეხები, კამდელები, ძიძები და ორი დარჯო.

მოქმედება პირველი

სურათი I

მარტხნივ სასახლეში შესავალი კარები, წინ ეხო, სამი დიდრონი კაკლის ხე. შუა ხის ძირში ბალდახინი მეფე-დედოფლისათვის. მარტხენა ხის უკან კლდე. კარის მსახურნი შუა ხის წინ სუფრას ამზადებენ. თავს ადგანან I და მე II კარის კაცები უკან მოჩანს სასახლის ბაღი.

პირველი კარ. კაცი. ჰა, აბა ჩქარა! სადაცა მეფე გამობრძანდება. .

მეორე კარ. კაცი. თითქმის ყოველისფერი მზათაა... (გაიწივებს განზე ჰარე, ჭარ, კაცს) ადამიანო! ეს დაუსრულებელი ლხინი-ქეიფი როდემდის გასტანს. მეფემ საქმეებს სრულებით

თავი გაანება, ხალხი იჩაგრება, ირგვლივ მტერი გვარტყია... არ ვიცი, როდემდის უნდა ვიყოთ ამ მდგომარეობაში...

პირველი კარ. კაცი. ეჰ, ძმაო.. სევდას და მწუხარებას რას უზამ, გლოვის ლხინია ეს ჩვენი მეფის ქეიფი... „შვილი არა მყავსო და ამოდენა სიმდიდრე, სარჩო, სანოვავე ვის დაუტოვო. სჯობს ვიდრე ცოცხალი ვარ მე თავად გამოვიყენო...“ საქმეებზე ხმას არავის ამოაღებინებს. დიდებულები გაჩუმებულები არიან. იმ დღეს სპასალარმა სამეფო საქმეებზე ჩამოუვლო ლაპარაკი. მეფე განრისხდა, გაუწყრა... „თუ ჩემი პურმარილი არ მოგწონს, გზა დამილოცნიაო“.



მეორე კარ. კაცი. აი ახლაც ემანდ შიკრიკი იცდის და მეშინიან, ვერ სომიხსენებია...

პირ კარ. კაცი. შიკრიკი?... საიდან მოსულა?

მეორე კარ. კაცი. სამხრეთიდან... ისეთი ფერი კი ადევს, რომ კარგი ამბის მახარებელი არ უნდა იყოს.

პირ. კარ. კაც. სამხრეთიდან? ალბად როსტომ მეფე შემოესია ჩვენს საზღვრებს და,

სომ იცი, ის კეთილს არ დაგვაყრის... რაც გახდება გახდეს და მაგ შიკრიკის მოსვლას ვეზირს ვაუწყებ. გაჩუმება არ შეიძლება. (ისმას მუსიკის სმხ. ზურნა) აგერ მეფე-დედოფალს მობძანდებიან. (შემოდანს მეფე-დედოფალი ამაღლით, მათში სმასალარი და ვეჯიარი. მეფე-დედოფალი დასხლებიან ბაღდასინის ქვეშ. ამაღა სუფრასთან ადვილესს დაჯიკურს. ჰარეული კარ. კაცი ვეჯიარს წასიურჩელებს).

მეფე. დაბრძანდით, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, განავარძოთ უმ გრილოში ჩვენი ტუბილი ლხინი... (სხდებიან)

ვეზირი. მასატიე, დიდებული მეფე; ცოტა რამ საქმე გახლავთ... ძრიელ საქმე.

მეფე. კიდევ საქმე? რამდენჯერ მითქვამს: მე საქმეებს თავი დავანტყე. ნუ თუ მე, მეფეს, იმის უფლებაც არა მაქვს, რომ მშვიდობიანად ვილხინო, საქმეებისთვის არ ვიტკიო თავი?..

ვეზირი. მზეო ქვეყნისა? შიკრიკი უცხლუბია...

მეფე. შიკრიკი?.. თუ გვაბატყობს ვინმე? შემოიყვანეთ შიკრიკი და ვაი იმის თავს, თუ საქმეებზე მოგვიყვია ლაპარაკს [კარის კაღვი გადის და შემოჰყავს შიკრიკი შიკრიკი მიესალმეუყვს].

შიკრიკი. დიდება და დღევრძელობა ჩვენს სახელოვან მეფე ჯიმშერს!..

მეფე. რითი გავგახარებ? საიდან მოდიხარ?..

შიკრიკი. სამხრეთიდან, დიდებული!.. როსტომ მეფე აუარებელი ჯარით და ხომალდებით მოადგა ჩვენს სახლვარს. ზღვის გზა შეგვიტრა და შენი ორი ხომალდი ხელთ იგდო, ამ ხომალდებს შენთვის აუარებელი ოქრო და მარგალიტი მოჰქონდათ ინდოეთიდან...

მეფე. (განრისხებულია) ევაგისტის შემაწუხებთ... მაგისტის შემაწუხებთე ლხინი?.. მაინც საქმეებით მაწუხებთ? როს ჯომ მეფე?.. ოქრო? რად მინდა ოქრო?.. ნეტავი ჩემს სიცოცხლეში ის მოვიხმარო რაც მაქვს. მე თქვენ გეტყვით შვილი მყავს და იმას დაუტოვებ... როსტომ მეფე კოტრი და დატაკია... შინ ლუკმა პურიკი კი უტირს... დეე, მიჩუქებია ის ოქრო მისთვის... (შეკრავს) გეთორე აქედან და დმერთს მადლობა შესწირე, რომ კარგს გუნებაზე ვარ, თორემ მათრახები არ ავცდებოდა. (შეკრავს გავა) დაბძანდით, ყმაწვილებო, განვაგრძოთ ლხინი... აბა სპასალარო, იკვებდი შესანიშნავი მოცეკვავე ქალები ვიშოვენო... გვაჩვენე ეს შენი მოცეკვავენი, თორემ ცარიელ ტრამპობაში ჩამოვართმევ...

სპასალ. ოლონდ შენ ისიამოვნე, დიდებული მეფე, და მსწრაფლ აღვასრულებ შენს ბძანებას (აღუკრავს სამჯერ ტაშს).
ბადიდან გამოსცეკვაებაან ფერები:

ზირი მზე, მოვარია, ბროლი სახე ნათელა, წვარია და სხვარა. უვარეს ნაზი მუსიკა. ფერები ტეკვაუნ. გაათავეს ტეკვა. გაიტქნენ და დაიშლენს ბაღში).

მეფე. მართლაც მშვენიერები ყოფილან... რალად გაიტქნენ... სპასალარო, დაუძახე, გესურს დავტყებთ ცოტათი კადეე მათ თვალწარმტაცი ცეკვით... რა მშვენიერები არიან. სად გიშოვნია, სპასალარო? დაბრუნე, დაბრუნე... კიდევ ვაცეკვაო... ძვირფასს საჩუქარს არ დავზოვავ...

სპასალარ. ჩვენო დიდებავ! ვეზირნ დაეწევა და არც დაბრუნდებია... ტყის ფერიები არიან... იმ დღეს ჩემი მონადირეები ტყეში ნადირობდენ... დალაშქრდათ მალა მწვერვალზე. დღის რიყრავზე, ის იყო ტყეს ღამე ემშვიდობებოდა და დღე ეპარებოდა, მისდგომიან მონადირეები ერთს უზარმაზარ მუხის გარშემო მოცეკვავე ფერიები. დასდევნებიან მონადირეები დასაქვრად, მაგრამ გასლტომიან ფერიები ხელიდან. მხოლოდ ერთი ფერიის ღეჩაქი ხელთ შერჩენია მონადირეს და მოგხსენებში, მეფე, თუ ფერიამ თავისი ღეჩაქი დაჰკარგა, — მუხის ამოსვლის უმალ მოჰკვდება... ეხვეწებან ფერიები დავიბრუნეთ ღეჩაქი... მონადირეები არ ანებებენ... ,წამოდით, ჩვენის მუხის წინაშე იცეკეთ და ღეჩაქს დავიბრუნებთო'. ბეგრი ყოყმანის და მუდარის შემდეგ დათანხმებულან ფერიები. გადმოუგლიათ ერთი რკო და უთქვამთ: ვისაც ეს რკო ექნება და სამჯერ ტაშს დაჰკრავს, სადაც უნდა იყოს, გავჩნდებით და ვიცეკვებთ, მხოლოდ ერთხლის მეტად კი არ შეგვიძლიან ცეკვაო. დაუბრუნებიათ მონადირეებს ღეჩაქი და რკო კი მე მომიტანეს. ახლა ამ რკოს არავითარი ძალა აღარა აქვს, რადგანაც ფერიებმა თავისი დაჰირება აღასრულეს.

მეფე. ებ, ყოველგვარი სიამოვნება ხანმოკლე და წუთიერია... აი გინდა ლხინი... პირველში თითქოს მართობდა, მაიწყებდა დარდს და მიბარებდა სევდას... ახლა კი ისევ... ისევ...

დელოვ. რაზე მოიწყინე, ჩვენო დიდებავ? რატო ისე მიაცდრულა მაღალი შუბლი?.. უბძანე და ვანა მთელს შენს სამეფოში არ მოივებიათ საუკეთესო მოცეკვავე ქალები?

მეფე. არა, არა... რომ მომავანდება: ეს ძლიერი სამეფო, დიდძალი განძი და სიმდიდრე... ვის დაუტოვო?.. შენ იცი, დედოფლო, ჩემი გულის ნაღველი, ჩემი მწუხარების მიზეზი. საუკუნობით განთქმული დიდებული და ძღვეთმოსილი მეფეთა გვარეულობა უნდა მოისპოს?.. ვის ჩავაბარო ყოველისფერი, ვის უუნაროდ მოს, რაც გადმომცეს ბრწყინვალე წინაპრებმა? —

სასახლ. მზეო ქვეყნისავ, ნუ ჰიაწყენ გულს, ნუ დაჰკარგავ იმედს, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი... გეყოლება კიდევ შვილი და შენთან ერთად გაიხარებს ქვეყანა...

მეფე. მმ... რაღა დროსია... კაცი ვებრედები... სადაც არის შავი აზრდილი წამომგებება და ზარს ჩამოჰკრავს...

ვეზირი. ჩვენო დიდებავ! მოგვაპყარ სმენა შენი და მოწყალებით გადმოგვხედ... უზენაესმა ხანგრძლივ ჰყოს შენი სიცოცხლე და ბედნიერად მრავალუმიერ გააბატონოს ჩვენდა სასიხარულოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ... მაგრამ ნუ დააობლებ შენს სამფლობელოს, ნუ დასტოვებ უპატრონოდ შენს ერთგულს ხალხს... მართალია, ორი საუკეთესო გვარის შვილები, რომელნიც შენ იშვილე, უღმობებლმა სიკვდილმა ჩვენდა საუბედუროდ წავგართვა... ალბად, ესეც ლევის განგება იყო... მაგრამ გემუდარებით, სცადე ერთი კიდევ... ამოარჩიე კიდევ ერთი წარჩინებული გვარის შვილი, შვილად აიყვანე...

მეფე. როგორ? კიდევ ერთი უძანკო პაწია ბავშვის ცოდო ავიღო ტვირთად?.. კიდევ გავხადო ვინმე მსხვერპლად?.. არა, არა, ალბად ჩემი ბედი ასეთია. აი ვიცი კი რა შევცოდებ მალაღს ღმერთს, რომ ასე სასტიკად მსჯის... არა, შვილი მე არ მეყოლება და ვერც შვილად ავიყვან ვისმეს... (გაისმის უნებად ჭექა-ქუხილი, თითქოს სდღად ახლო მეხი ჩამოაფრდა... დაუბურავს ზუსუნით ქარი. ეველანს წამოხტებთან. მარცხნივ კვლავ გაიხაზა და კომინდება **დავრიში.** წითელი სისხლად. ეველანს თავსაზრდაცემული შესუნქურანს დაფრთხი. იგი მისმე ნაბიჯით შიდას წინ და შეუეს მიესდებება.)

დავრიში. დიდება და გამარჯვება სახელგანთქმულ მეფე ჯიმშერს!..

მეფე. ვინ ხარ შენ? როგორ გაჰხედე ამ მოსელა დაუკითხავად? ჯოჯოხეთის თუ სამოთხის მოციქული ხარ?

დავრიში. შენი მორჩილი მონა, საწყალი დავრიში... გლახაკი და კეთილი ხალხის წყალობით მცხოვრები.

მეფე. რა გინდა აქ? როგორ გაჰხედე, გეკითხები, ჩემი ნადიის და ლხინის შეშლა?

დავ. მამატიე. მეფევე... შენი ნადიმი და ლხინი სვედით და გლოვით არის გამოწვეული. ვიცი შენი გულისნაღვი, ვიცი რა გაიძულეს შენი ტკივილები და ბოლმა ლხინით და ვითომ მხიარულობით გაიქარვო, დავიწყო... მე გიშველი, მე ავისრულებ სურვილს... მე მოგცემ შვილს...

მეფე. შენ?.. რა შეგიძლიან, შენ, ვილაც საბრალო დაჯიშს?.. მთელი ქვეყნის ბრძენნი, ნასწავლნი სცილობდნენ... რა წამალს, რა შელოცვებს არ ხმარობდნენ ჩვენი გულთმისნები და ვერა გააწყესრა და შენ, შენ, საცოდავო დავრიშო, რა უნდა მიშველო... შენ რა შეგიძლიან?..

დავ. თუ ჩემმა აქ მოსვლამ არ დაგანახვა, მაშ, კარგი. აჰა, შეხედე ცას—მთლად მოწმენდილია, ერთს პაწაწა ღრუბლის ნაგლეჯსაც ვერსად დინახავ. და აჰა! (გაიქნეს მარცხენს ხელს და წვიმას დაუშვებს. ეველანს ხის ქვეშ ეუფრებაან). აჰა, ახლა, კიდევ (გაიქნეს მარჯვენს ხელს და წვიმას გადაადებს). აი გადაილო, გამოივდარა... ახლა ხომ გჯერა, რომ ბევრი რამ შემიძლიან.

მეფე. ბელწეულისაგან ხარ მოგზავნილი, თუ მართლა წმინდა სული მოგვევლინა საშველად?

დავ. ეგ სულ ერთია... მივას ნუ გამოეკიდები... მე უბრალო საწყალი დავრიში ვარ, მაგრამ შევლა კი შემიძლიან, — შვილს კი მოგცემ.

მეფე. მიშველე და შენს წონა ოქროს არ დავეზოვავ. ნახევარ სამეფოს მოგცემ, ოღონდ აღმისრულებ...

დავ. დავრიშს ოქრო არ ესაქიროება... და არც მეფობა უნდა... გითხარი გიშველი, მხოლოდ ერთის პირობით და თუ დასთანხმდები, წამალსაც გასწავლი.

მეფე. სთქვი და არას დავეზოვავ, არაფერს შევეუშინდები...

ღვ. მაშ კარგი... წლის თავზე დედოფალს ეყოლება ტყუბი შვილი, ორი ვაჟი, მათში ერთი ჩემი უნდა იყოს... თუ თანახმა ხარ...

დედოფ. უიმე, დედამ შვილი როგორ უნდა გაიმეტოს? ორ ძუძუში ერთი რომ მოკვლიყო, არ ეტყინება?

მეფე. მოითმინე, დედოფალო... თუ კი ორი გვეყოლება?.. ნათქვამია სულ არარაობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო...

ყველანი. დასთანხმდით, მეფე — დეთოფალო, დასთანხმდით... ნუ დააბლებთ ქვეყანას!..

მეფე (ღაფრის). კარგი, მე თანახმა ვარ... აი ამ ხალხის წინაშე გიცხადებ: თუ წლის თავზე გვეყოლა ორი ვაჟი, მათში ერთი შენია... გვასწავლე წამალი...

ღვ. დილის რიყრაყზე დედოფალი გაბძანდეს ბაღში და თავის ხელით მოსწყვიტოს ქიაფერი ვარდი, რომელიც შადრევანთან ჰყვავის, ისე კი მოსწყვიტოს, რომ არც ერთი წვეთი დღის ნაშისა არ ჩამოვარდეს მარცხენა ღოჭით შეაშროს ის ვარდი და მერე შესჭამოს. წლის თავზე ეყოლება ტყუბი ვაჟი. თერთმეტის წლის, თერთმეტი თვის, თერთმეტი დღის, თერთმეტი საათის და თერთმეტი წუთის შემდეგ მოვალ და, მეფევე, ჩვენი პირაბა უნდა აღვასრულოთ. (გაისმის ქუხილი, ქარი. ღაფრის კედელში ამაღება. ეგედანი თავზარდაცემული სღვანს).

ფ ა რ ლ ა

ი გედევანიშვილი



ბ უ ნ ე ბ ა დ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა

(პირველი წიგნი)

ყველგან და ყველასაგან დევნილ ქართულს ენას ბევრი განსაცდელი მიადგა, ეს არავისათვის საექვო და დაფარული აღარ არის... მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ახლანდელი განსაცდელი სულ სხვაგვარია და მეტად ვერაგულიც.

აეთ გაჭირვების დროს ბექტური მწერლობა უნდა ეხმარებოდეს ენას, მის ვაგრცელებას ადა შერჩენას.

ჩვენც, რა თქმა უნდა, ქართული მწერლობის იმედი უნდა ვიკონიოთ. როდესაც ყოველივე ისეთ მოწყობილი, რომ მხოლოდ განადგურებას უწყობს ხელს, ეს და დავგრჩენია საიმედო საშუალებად.

მაგრამ როდესაც ამ თვალისწინებით გავითვალისწინებთ ჩვენს მწერლობას, მაშინვე წარმოგვიდგება ის დიდი ნაკლი, რომელიც მას დასწემდა. ქართული მწერლობა მეტად ერიდება სამეცნიერო მასალას. ეს ცხადია. მერე რატომ? მიზეზი უცოდინარობაა.

რადგანაც ენის ზედმიწევნით შესწავლას ყველგან დიდი შრომა და ჯაფა უნდა, და მით უფრო ჩვენში და ჩვენგვარ პირობებში — ამისათვის ყველა გაურბის ამ სიძნელეს.

ჩვეულებრივ, ენა კიდევ ასე თუ ისე ემარჯვებათ, მაგრამ, თუ დინჯ საგანზე მიდგას საქმე — მაშინ ვერაფერ ვერა ბედებს ამაზე წერას და განზრახ ერიდება ამ დარგის წერილებსაც. ახლანდელი ქართული კერძო ცხოვრებაში, ლაპარაკს დროს, ქართული ენას არ საკბროებს, სხვა ენითაც იოჯად მიდის, და როდესაც წერას მიადგება საქმე, რასაკვირველია, უნდა აუხვიოს გვერდი და თავიდან აიშოროს ისეთი რამ, რასაც იგი ჩვეული არ არის.

აი სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენს მწერლობას სრულებით არ მოვბოება თანამედროვე მეცნიერების მასალა, ან, თუ, შემთხვევით რასმე დამბეჭდვენ, მხოლოდ სრულებით უმნიშვნელოს და ისიც მეტად იშვიადად. ამნარად მობასეც და მკითხველიც სრულებით მოკლებულია სამეცნიერო საგნის შესახებ ქართულად ბასსა და წერას. ჯერ უბრალო, საყველბურო საუბარი რომ ვერ მოუხერხებია თანამედროვე ქართველს ქართულად, როგორღა შესძლებს იგი რთულ, სამეცნიერო საგნის შესახებ ქართულად მსჯელობასა და წერას!...

მით უფრო საწყენია და სავალალო ეს გარე-

მოება. რომ ქართული ენა უკვე იყო საამისოდ დაწინაურებული მეცხრამეტე საუკუნემდე და მრავალი ხელთნაწერი, ამის ცოცხალი დამადასტურებელი, დღემდეც დაცულია და ჩვენამდე მოღწეული. თუმცა დღეს ამ მასალას მკითხველი არა ჰყავს და არც თვალის გადაშეღები, მაგრამ მათში მოკცეული მდიდარი მასალა უტყუარი საბუთია მისი, რომ ჩვენს წინაპართ მრავალი ჭირ-ვარამის მიუხედავად, მეცნიერებაც ჰყვარებოდათ და ქართული ენაც ისე გაუმდიდრებიათ, რომ ამ ენაზე ყოველგვარი რთული საგნის გადაცემა ყოფილა შესაძლებელი. და თუ უმადურმა შთამომავლობამ ეს განძი ვერ გამოიყენა, ეს მხოლოდ ქართველების საერთო დაკნინებისა და გადაგვარების ბრალია...

სხვაგან უფრო ღარიბმა ენებმა ახლად გაიჩინეს სამეცნიერო მწერლობა, და ჩვენში-კი ისეთმა მდიდარმა ენამ და დამუშავებულმა, როგორც ქართულია, მეჭვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის ნაანდერძენიც ვერ შეინახა და წინსვლელობის მაგივრად, უფრო შეიმოკლა ას-

პარეზი, და ამით მეცნიერულ განვითარებას სრულებით ჩამორჩა...

მოელი საუკუნე გადის, რაც ქართული ენა ამ ნაკლს შეეთვისა და, თუ ახლაც არ ვეცადეთ ამ ნაკლის გასწორებას, მეტად დიდ ზიანს მივაყენებთ მის წინსვლელობასა და განვითარებას.

ამისათვის საჭიროა სამეცნიერო განყოფილებას ყოველმა ქურნალმა ყურადღება მიუპყროს და ადვილი დაუთმოს, მკითხველის შესახვევად.

ჩვენც ვეცდებით ხანდახან გამოვესაუბროთ მკითხველს სამეცნიერო საგნების შესახებ და რაც ახალი და საგულისხმო-რამ იქნება მეცნიერების დარგში, იმას მივაქციოთ ყურადღება. მართალია, ძნელია ახლა გადაჩვეული ქართველისათვის სამეცნიერო წერილის ქართულად წაითხვა, მაგრამ ვინც მოიწადინებს, ადვილად მიეჩვევა და გაიგებს, და ვინც ვერ გაიგებს—მანაც ნუ შეგვიჩხუბებს და თავის თავს დააბრლოს.

3. ლამაზობი

ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობა

დრამატულ საზოგადოების გამგეობის ინიციატივით—საზოგადოებრივი დადგენილების თანხმად—შესდგა კომისია, რომელსაც დაავალდებულნი აქვს მოაწიოს ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა.

კომისიაში შედის: გრ. დისამიძე, ს. ტარუაშვილი, შ. ღაღაძე, ა. ავალიშვილი, ა. წყნაძე, ე. მესხი, ვლ. ალექსი-შესნიშვილი, ვ. გუნიას, ვ. შალვაშვილი, მ. ქორელი, ივ. ბარბაქაძე. კომისიას უკვე რამდენიმე კრება ჰქონდა და გამოირკვა, რომ ყრილობის მოწვევა სსურველი იქნება მონაწილე 20 აზრლიდან ზირულ მისამდე. ყრილობის განსახილველად შემუშავდა შემდეგი დახსენილებითი პროგრამა:

I

I დრამატული ლიტერატურა და მისი მნიშვნელობა:

- 1) დღევანდელი მდგომარეობა, 2) სსურველი, 3) რეპერტუარი ორიგინალური, 4) თარგმანი, 5) დრამატურგთა კავშირი, 6) აკრებულება, 7) რეცენზია:—თეატრალური კრიტიკა, 8) ქართული ენა, ქართული თეატრი, 9) მისი მნიშვნელობა.

II დრამატულ საზოგადოებათა მისი მნიშვნელობა:

- 1) ისტორიული მისი მნიშვნელობა, 2) ანტრეპრისა, 3) კავშირი, 4) საზოგადოების სსურველი მისი მნიშვნელობა.

III სასცენო ხელოვნება და სცენის მომხარეები

- 1) დღევანდელი და სსურველი მამართლებლობა, 2) სწავლა-კანსთლებლობა, 3) ნორმალური წესი, დამოკიდებულება დრამატ. საზოგად. და რეჟისორთან, 4) სისამართობა.

IV თეატრი საქართველოში:

- 1) მომართვა თეატრი, 2) თეატრი სოფლებად, 3) სცენის მოყვარეები და მათი მოქმედება.

V რეჟისურა:

- 1) ვინ არის პროფესიონალი რეჟისორი, 2) სტაჟი, 3) დამოკიდებულება მისი მნიშვნელობას, 4) ტექნიკური მხარე, 5) სცენის მუშაობა და სხვა.

VI

I პროფესიონალური კავშირი:

- 1) ვინ არის მისი მნიშვნელობა, 2) მისი მნიშვნელობა და რეჟისორი, 3) ქართული ენა, 4) აწინდელი და სსურველი მოქმედება მისი მნიშვნელობა.

II დამოკიდებულება მსახიობთა და ანტრე-პრიზასთან დრამატ. საზოგად.

1) ნორმალური წესი, 2) კონტრაქტი, 3) ბენეფისი და იუბილე — სტაჟი.

III თანხები

1) სხვადასხვა სახენისო, 2) უმუშევართათვის, 3) სურთაერთო, 4) დაუქურბებულთა.



ქოსას ოინები

ეს იმ დროს იყო, როდესაც ბურანში მყოფი საზოგადოება ქოსას საზოგადო მოღვაწის ში-რაფანდელით ამკობდა და მის კუქოსან აფეიოაბას თავისი დარღმინდ ჯიბიდან საკმაო სასუსნავსა სთავაზობდა. თვითონ ქოსა კი, მეფისტო-ფელიურის ღიმილით, უღღაშ-გაბარსულ, მსუნავ, წვრილ ტუჩებში ეშმაკურად ჩაიცინებდა და თავის ოინებს ტუჩების ტკბანურით უამბობდა განუყრელ თავის ტუქუბის ცალ მეგობარ კუსპას, თანაც კატავასიად დაყოფილებდა:

— შე ვირრო, შე ვირრო, შენა!..

მითომ რა მინდაო? აი, მე ასეთი ქვეიანი, მობერბებული ვარ, შენ კი— დოყლაბაიო.

დბალო-დბალო, ჯმუხი, ცხვირ-წამოწვდილი ქოსა გაგვიღ მეტებარვიით სუნს აიღებდა, თუ რა დროს საით იყო მისი საკბილო და კვალ-დაკვალ მიჰყებოდა. ქუჩის თავიდან ქუჩის ბოლოში თვალს შეასწრებდა გასაფცქენელად განწირულ ბატკანს, ყველიბარია კატასავით მოსუტუვად ისედაც მოსუტულ თვალებს— და უზომო ზრდილობით, შემპარავის ღიმილით, ქულის მოხლით მიესალმებოდა:

— აა, ჩემს ძვირფას პეტრეს!.. ჩემს გიორ-გის!.. ჩემს რომანს!.. ჩემს საშას!..

გამოცდილი ალლო შორიდანვე აგრძნო-ბინებდა, თუ რა გუნებაზვა მისი ძვირფასი მეგობარი, რაიმე დასაინცილი ქანქარი ჰქავის მის პატივცემულ და პატივასაყრელ ჯიბეში, თუ არა. ყველა ნაცნობას სუსტი მზარე იცოდა, მათი გულის საიდუმლონი, განსაკუთრებით ქალთა საკითხში თვალწინ ეღდა და ხალისიანის მასლაათით ათასგვარ არაკებით ჰამლეტისებურ ფილოსოფოსსაკი საამქვეყნო გუნებაზუ და-აყენებდა.

ქოსა თუმცა მღვდელი არ იყო, მაგრამ მრველი დიდი ჰყავდა. მირზახანოვის ვერც-ხლის კარტულიც ვერ გაუძღვებდა ერთ თვეზე მეტს, ბევრი სალაპის მიციმისაგან. მისი მრვე-ლი იყო მთელი ქალაქი და მისი მახრებიც, ყველა დაწესებულებაში, ყველა წოდებაში, ყველა უწყებაში შინაური, მიღებული კაცი იყო! ისეთი რიხით შევიდოდა, როგორც დიდი მოსაქმე კაცი, წვრილფეხა მოხელეებს არც-კი მიჰხედავდა, პირდაპირ უფროსის კაბინეთისაეკნ გასწვდა: ვინ გაუბედავდა კითხვას, შეჩერებას.

იქნებ იფიქროთ, ვითომც ქოსა ბოროტის გულის პატრონი იყო, ხარბი, ძუნწი, უკადრისი და მხოლდ სხვისი ჯიბით უყვარდა სარგებლო-ბა?

რა ბრძანება!

ქოსა ნამდვილი კომუნისტი იყო. მისი ბუნება სხვა თეორიის ვერც შეიშენებდა. თავის საკუ-თარ კუქის გარდა სულს აქეთ არავითარი სა-კუთრება არ გაანჩნდა და განა შეეძლო კომუნის-ტი არ ყოფილიყო?!

თუ კი რაღაცეა გაფხვილ ყილეთის ჯიბეში უქყავდა, რამე, ხელგამლილი იყო და დაუზოგველად უმასპინძლდებოდა თავის მრველ-თაგანს.

ყოველ ასეთ შემთხვევაში, უნდა ვიგულის-ხმობთ, რომ ქოსას რაიმე მოაერბებული ოინ-ბაზობა, ან უფრო დარბაისლოურად რომ ესთქვათ, კომბინაცია, მოეხერხებინა და ძვირფას ნაც-ნობის ჯიბიდან თავის საწყალ ჯიბეში გადმო-ელა მოჰარბებული ხელის ქუქუკი.

საგულისხმო რამ სანახავი იყო ქოსა, როდესაც დილით, გაბრუებული თავით, გაფ-ხევილი ჯიბით, სახლიდან გამოვიდოდა, კარი-ბუქისთან გაჩერდებოდა და სადღესო გეგმის შემოქმედებაში იყო ქართული. შექმუხნილ წარბებზე წამოწეული ქელით, თვალმ-მოჭუ-ტული, ტუჩებ-შეკბენილი, ცხვირ-გაწვდილი სივრცეს უზაროდ გასცქეროდა— ნამდვილ მოა-ზრე აღამიანს ემსგავსებოდა.

— А въ волнахъ ничего не видно... ничего не видно..*

ჩაილაპარაკა ქოსამ, გატეხილი ჰაპიროსი ამოიღო და კოწიწება დაუწყო. გაქნილი ტვი-ნი კი დამშეულ კუქის საზრუნავში იყო გარ-თული.

—Aaa!.. Воть рыбка то моя золотая!
 — დიმილით ჩაილაპარაკა, შუბლი ზევით ასწია ტუჩები შეიწუწუნა, თითქოს ორთქლში გამო-სული ზუთხი ჩაეტკბანურებინოს, ქუდი გაშლილ შუბლს ააცილა, რომ დილის სიომ იმა-

საც აგემოს სიგრილის სიამე და ბეჯითის ნაბიჯით გასწია.

სათა?

ეგ ქოსამ იცოდეს.

ნარკანი

სათყატრო



მიმოხილვა

ხონის წარმოდგენები

ხონში საფხეულობით წარმოდგენების სსქ-მე კარგად არის მოწყობილი. ამ სსქმეს უძღვება ხოლ-მე ერთი წლით არჩეული დრამატული ჯგუფის გამგეობა. ჯგუფის გამგეობის მთავალეობაა მსახიობთა მოწვევა და წარმოდგენებზე მორიგი გამგეობის გაწვევა. გამგეობის წევრებს ინტელიგენტთა სსხო-გადო ერებს უფველ განაფხულზე ირჩევენ.

გამგეობა ჩვეულებრივად სეზონის ანგარიშს სეზონის გათავების შემდეგ აჭეუენებს. წელს ასეთი ანგარიში არ გამოუქვეყნებიათ და ეს არ არის კარგი. სსურველია ამ ანგარიშის გამოქვეყნებას დაჩქარებდენ.

გამგეობის წევრთა შორისაც არ ყოფილა სრული თანხმობა. ერთმა წევრმა მითხრა: სეზონი გათავ-და, ახალი სეზონი უნდა დაიწყოს და არამც თუ სსხოცადობამ, არამედ გამგეობის წევრებმე გი არ ვიცი ანგარიშით: არ მიახიან და რაიმე სსქმის შესახებ არაფერს არ მეკითხებიანო. აქ იმის განხილ-ვამი არ შევალ, თუ ვინ არის მართალი, ვინ ბტუყუნი, ხოლო იმის გი ვიტყვი, რომ არაა სსურველი ასეთი განწყობილებამ გამგეობის წევრთა შორის.

დროა გამგეობამ წარსული სეზონის ანგარიში გამაჭეუენოს და მომავლის შესახებ ზრუნვას შეუ-დგეს. როგორც ბავივე წარსულ წელს დეიფიტი ეოფილა და ამ დეიფიტს შესახებაც უნდა მოილა-პარაკონ.

— 28 თებერვალს ხონში სარაჯიშვილამ გა-მართა კონცერტი. კონცერტს ხალხს ბლომით და-ესწრო. სსხოცადობაზე ცუდი შთანეჭდილებამ მოახ-დინა იმ კარემობამ, რომ სარაჯიშვილამ ჯერ იტა-ლიურად, შემდეგ რუსულად და ბოლოს ქრთულად იმღერა, ხალხში ისმიდა ხმები: ქრთული, ქრთულიო და სარაჯიშვილამ ამა ს უური არ ათხიფა.

თეზოს.

ქართული თეატრის 1913/14 წ. ზამთრის სეზონი

1913/14 ქრთული თეატრის ზამთრის სეზონი დაიწყო ქრთ. დრამ. სსხო, ახალამ გამგეობამ. ზირ-ველი სეზონი გაგრძელდა ზეო თვეს, 1913 წ. 15 ენეინსთვიდან 1914 წ. 15 თებერვლამდე.

გამართა 57 წარმოდგენა (განმეორდა 8 ზიეს). წარმოდგენილ ზიესათაცან ორიგინალური იყო

20, ნათარგზნი 21 (ძველი 24, ახალი 15), წლე-ვანდელი სეზონი ბარაქიანი აღმოჩნდა: შემოსავალი იყო 21325 მ. 46 კ. სულ დაესწრო 31806, — ორთაშუა რიცხვით 558. „სინთლე“ დაიდა 18—ჯურა. ამ 18 წარმოდგენის შემოსავალი იყო 9462 მ. 68 კ. სულ დაესწრო 12537 (ამ რიცხვში) შედის 4 წარმოდგენა ქუთაისში „სინთლე“, რომელზედაც დაესწრო 2441; შემოსავალი იყო 2362 მ. 92 კ.

რეჟისორებამ იყენენ: ვ. ს. აღექი-მესნი-შვილი, გ. ი. შლიაკაშვილი და მ. ფ. ქორიძე (ქრთული). ვ. მესნიშვილამ თითქმის შუა სეზონშივე მიანება თავი; უმეტეს წილად ვ. შლიაკაშვილი რეჟი-სორობდა.

ორი სიტყვა ბათუმის ქართულ დასზე

ეს ორი წელიწადია ბათუმშიც განხდა მუღმიოვი ქრთული დასი და ამით ქრთულ სათყატრო ხელაფ-ქნებას ახალი მევიდრი „ტეატრორამ“ შექიძნა.

დამურბოლები და აღმოჩენენი ამ „ახალი ამერიკის“, როგორც მოსალოდნელი იყო, იყენენ ახალგაზდა მსახიობნი ქრთული სტენის, რომელ-თაც თვის თავს ზირველ ხანებში „მოცაზური“ უწოდეს.

„მოცაზური“ დასის აზრი იყო სსმსახური გაწიას დასვლეთ-სასქრთულოს დაბ-ქადაქებისთავის და ზირველ ხანებში რამდენჯერმე შემოიარა კიდევ ვეკ-ლა თვალსაჩინო აღვილი; თვით ნოვოროსისშიც გი გა-მართა რამდენიმე წარმოდგენა. ხოლო სსქმე დაახანვა დასს, რომ ივენს უფრო ბათუმში მოკამგრებისა,

რადგან სხვაგან მოგზაურობას ისეთი სარგისი მოსდევდა თან, რამელსაც „მოგზაურის“ თხელი ჯიბე ვერ გაუძლებდა და მსანტ, როგორც იტყვიან, ლუხა ბათუმის სწოთსუყუდარს მიაშვგას.

ამითი არც ერთი მისარე არ მოტუეუბულა. საქმე ისე წინ წვიდა, რომ თვით ბათუმის სასოგადოებამ მოინდომა შემღეუგნი დასის ყოფა და ამ მიხინით დაასრს „ბათუმის ქართული დრამატული სასოგადოება“, ამგვარად სუეუგნო საძირკეული ჩაეყარა ბათუმის ქართულ თეატრის საქმეს.

წრეულსაც, მიუხედავად იმის, რომ სასოგადოებამ ხარალი ნსს, განსძსუფადა მიუცილებლად შესდგეს მომავალი სეზონი და ამისთვის უკვე სპროზო ზომებიც არის მიღებულა.

უუესრეგები ჩვენს შორეულ მომეგებს სრულს გამარჯვებს ამ წმინდა და ცოცხალ კულტურულ საქმეში.

ა. ი.

◆ **ქართ. დრამ. დასის მოგზაურობა** „სინათლი“. — ქართულ დრამატ. სასოგადოების გამგეობას, თურმე, მრავალი წინადადება მოსდის პროვანციებიდან, რომ ი. გედევანიშვილის პიესა ზღაპარი „სინათლი“ დაანახონ. გამგეობას აზრად აქვს შემოიაროს ამ პიესით შემდეგი ადგილები: ბათუმი, ფოთი, სოხუმი, განჯა და ბაქო.

◆ **მწერალს შალვა დადიანს** დაწვებული აქვს ახალი ორიგინალური სამომქმედებიანი დრამის წერვა, სახელწოდებით „მდექეკორი“, რომლის შინაარსი აღებულა სამეგრელოს წარსული ცხოვრებიდან.

◆ **გ. ს. დავიდოვის გრამოფონის ფირმას** მოუწვევია მამელალი შპას სამეფო კარის თიორანელი მომღერალი აბულ ჰასან-ხანი გრამოფონის ფირფიტებზე დასამღერებლად. მომღერალთან ერთად თარე უკრავს გამოჩენილი დავრიზანი, ქიანურხე-ბალირ-ხანი ზარებზე—ახლელა-ხანი. ამითან ერთად დაამღერის აგრეთვე თიორანის გამოჩენილი მომღერალი თავქს-ზადე.

ფიორფიტებზე დამოგრებისთვის ესენი ჯილდოდ იღებენ 22,500 მან.

◆ **ქუთაისის დრამატულ სასოგადოების გამგეობა** უკვე შესდგომია სავაისო სუზონისთვის მზადებას. როგორც გამღერავცეს, ზოგიერთ პირებთან კიდევ დაუწვევია მოლაპარაკება.

„ახალი კლუბი“ წარმოადგენებს სევერსკის მონაწილეობით დიდი ზარალი მიუტოვა კლუბის კასისთვის. სასოგადოთ „ახალი კლუბის“ მამასახლისები მეტისმეტად ცალმხრივად იქცივან და რუსულ იპერეტისა და შანსონეტის ტრფილდში ქართულ ხელოვნებას ივიწყებენ.

◆ **ქართული დრამ. სასოგ. წლიური კრება** განზრახულია მოწვეულ იქმნას მათში, რადგან წლიური ანგარიში თავდება აპრილის დამღევს. გამგეობა უკვე შესდგომია თვის მოქმედების ანგარიშის მზადებას.

◆ **ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძის ლექცია**— „ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“, რომელიც 2 მარტს, კვირა დღით, ქართულ თეატრში წაიკითხა, ფრიად შინარსიანი გამოდგა და სასოგადოებაზე შობებქლება მოახდინა. სასურველია გამოიტყოს.

◆ **სახალხო სახლმა კოტე ყიფიანის** 45 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადაიხადა 4 მარტს. იყო მილოცვები და საწუქრებიც.



თბ. ქართ. საამხანაგო მომღერალ-მგალობ. გუნდი, დაარსებული 1910 წ. მის. კავსაისი მერ მომავალ კონცერტების გამო ბანჯა-ბაქოში.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

მიიღება დასახელებად განცხადებანი

გამართულია ხელის მოწერა 1914 წლის

ყოველ დღიური საოლიტიკო და სალიბერატურო გაზეთი

„სახალსო გაზეთი“

წელიწადი მისუთი

1914 წელსაც გაზეთი გამოდის იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა და გაზეთს ექნება

სურათებიანი ღამათება

(კვირაობით)

პრემიად 1914 წლის წლიური ხელის მოწერის რომელიმე მთელი წლის სუფი- მიიღებენ
სურს გადახდიან, ან წინდაწინვე განცხადებენ გაზეთის
კანტონში, რომ წლიურ ხელის-მოწერის არიან 1914 წლის განმავლობაში

სამსვიგნს

პირველი წიგნი „ქართული მწერლები“, რომელშიც დაბეჭდილი იქნება: 1) „უკვირგების მეფენი“ ისტორიული დრამა სუთ მოქმედებად სანდრო შანშიაშვილისა. 2) „მიქრანლი შარვანდეთი“ ისტორიული რომანი ვ. ბარნოვისა და სს. მეორე წიგნი „უცხოეთის მწერლები“, რომელშიც დაბეჭდება: „დღის კარლის“, ტრაგედია შიფერისა, თარგმანს სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებანი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი სახელწოდებით კრებული ორიგინალური და ნათარგმნი წერილები

გაზეთის ფასი: როგორც ტფილისში ისე მის გარეთ ღირს წელიწადში 8 მანეთი 50 კაპეიკი, ნახევარი წლით 4 მანეთი 50 კაპეიკი. საზღვარ გარედ წლით 15 მ., ნახევარი წლით 7 მ., 50 კ. ერთი თვით თფილისში და მის გარეთ 7 მ. კ. საზღვარგარეთ 1 მ., 25 კ. ცალკე ნომერი ყველგან შაური; დამატებიანი ნომერი შეიღი კაპეიკი. ადრესის გამოსაცემელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ. და-ნარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

Тифлисъ, Груз.-газ. „Сахалхо Газети“ почт. ящ. 190.

ქბლის ექიმი
ალ. სოლოლოშვილი
იღებს ავადყოფილებს
ღლილს 9—2 სათ.
საღმოსენ—7 სათ.
გოლიფინის პრ., № 12
მ მ მ მ
გ. დ. ლიმაშიძე
(კახეთის სარკინისგზო
მკურნალი)
შინაგან და ბავშვთა
ავადყოფილებისა.
ვარღის უბანის ქ. № 9.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიკური
და სალიბერატურო შუბრნალ

„კლდე“-ზე.

ფასი: ერთი წლით 3 მ., ექვსი თვით 2 მ., სამი თვით 1 მან.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
ხელისმოწერა გამართულა „კლდე“-ს რედაქციაში Габавский пер. № 3 და